KA030127917730319

№ 01-2698 **20 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ILO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეგიდით მიმდინარე წლის 22 მარტს შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში მდგრადი განვითარების მიზნების რეგიონული ფორუმის ფარგლებში ტარდება პარალელური ღონისძიება თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების საკითხებზე. ღონისძიების მიზანია მულტი-სექტორული დიალოგის გზით ქალებსა და მამაკაცებში ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა და თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია. დღის წესრიგით გათვალისწინებულია მინისტრის მოადგილის სიტყვით გამოსვლა შრომის მიმართულებით ქვეყნის მიერ გატარებული რეფორმების თაობაზე.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია უზრუნველყოფს მგზავრობის, სასტუმროსა და დღიური ნორმის ანაზღაურებას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი თამილა ბარკალაიასთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2019 წლის 21 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია